საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

15/01/2026

MES 1 26 0000026703

გადაწყვეტილება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.
1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.
1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 29 იანვარს №34 გადაწყვეტილებით.
2.2. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის №413434 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება ბრძანებაში: №527835; 15/05/2025), შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2024 წლის 28 ნოემბრის №1059-IBSU-01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1536845, 29/11/2024) წარმოდგენილი ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შეფასების განხორციელება.

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 25 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და განახორციელა გარკვეული ცვლილებები:
ა) მოიხსნა 1.4 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეასრულონ ინდივიდუალური კვლევა." ამ კომპონენტს დაემატა შემდეგი რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, პროგრამაში აისახოს ციფრული ჟურნალისტიკის სწავლება, როგორც ცალკე კომპონენტი."
ბ) 1.5 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია - რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში - "სასურველია, გაძლიერდეს ინტერაქტიური სწავლების მეთოდები."
შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
5. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 15 იანვრის №26849 სხდომის ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
6. დაწესებულებას დაევალოს რეკომენდაციების შესრულება ხელახალი აკრედიტაციის პერიოდში მზადების პროცესში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცირებულია, საგნები „პროფესიული პრაქტიკა“ და „საგამოძიებო ჟურნალისტიკა“ ისწავლებოდეს ძირითად კურსებში და არა არჩევითში. (1.4)
- რეკომენდებულია, პროგრამაში აისახოს ციფრული ჟურნალისტიკის სწავლება, როგორც ცალკე კომპონენტი. (1.4)
- რეკომენდირებულია სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ.: საგნებში „რეკლამა და მედია“, „მედიამენეჯმენტი“ და სხვ.) (1.5)

7. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 დეკემბრიდან.
8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან